

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს ეროვნულ ბანკსა

და

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შორის

მიზანი

1. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნულ ბანკსა (სებ) და საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს (სსზს) შორის თანამშრომლობის ჩარჩოებს. მემორანდუმით განსაზღვრულია თითოეული დაწესებულების ინდივიდუალური და საერთო პასუხისმგებლობის საკითხები. მემორანდუმი ასევე განსაზღვრავს ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის ფორმებს.
2. სებ-ი და სსზს-ი იხელმძღვანელებენ თანამშრომლობა შემდეგი პრინციპებით:
 - ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და სიჯანსაღის უზრუნველყოფის საჭიროება.
 - სებ-ი და სსზს-ი წარმოადგენენ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ საქართველოს კანონმდებლობით ცალსახად და მკაფიოდ განსაზღვრული მოვალეობები. თითოეული ორგანიზაცია პასუხისმგებელია მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე.
 - სებ-სა და სსზს-ს შორის მონაცემებისა და ინფორმაციის ეფექტური გაცვლის უზრუნველყოფა კონფიდენციალურობის დაცვით.
 - ძალისხმევის დუბლირებისა და რეგულირებადი დაწესებულებებისათვის მარეგულირებელი ტვირთის მინიმუმამდე შემცირება, რეგულირებული დაწესებულებებისათვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.
 - თითოეული დაწესებულება მოვალეა, რომ პარლამენტს, ბაზრის მონაწილეებსა და ფართე საზოგადოებას გააცნონ მათი ორგანიზაციების როლი.

სებ–ისა და სსზს–ის მოვალეობები ფინანსურ სექტორში

3. საფინანსო სექტორთან მიმართებაში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სებ–ის ძირითადი პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს რომ ფინანსურმა სექტორმა საფრთხე არ შეუქმნას ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.
4. სებ–ი აგრეთვე პასუხისმგებელია უზრუნველყოს ეროვნული საგადახდო სისტემების უწყვეტი და ეფექტური ფუნქციონირება.
5. ფლობს რა ფართე ხედვას მთლიანად ფინანსურ სისტემაზე, სებ–ი პასუხისმგებელია დროულად დააფიქსიროს მაკროეკონომიკური რისკები. სსზს–ის პასუხისმგებლობაა მოახდინოს დროული შეფასება, თუ რა ზეგავლენა შეიძლება იქონიონ ამ რისკებმა ფინანსურ სისტემასა და ცალკეულ დაწესებულებებზე.
6. სსზს–ის პასუხისმგებლობა აღწერილია მის დებულებაში, რომელიც ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას. ზოგადად, სსზს–ი პასუხისმგებელია ფინანსურ სექტორში მოქმედი რეგულირებადი ორგანიზაციების პრუდენციულ ზედამხედველობაზე. სსზს–ი პასუხისმგებელია უზრუნველყოს აღნიშნული ორგანიზაციების ფინანსური სიჯანსაღე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სსზს–ი აგრეთვე პასუხისმგებელია განახორციელოს ზედამხედველობა ფინანსურ ბაზრებზე, ფასიანი ქაღალდების ბაზრებსა და სადაზღვევო კომპანიებზე. შესაბამისად, სფზს–ია პასუხისმგებელი ყველა სახის მარეგულირებელი პოლიტიკის გატარებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე აღნიშნულ სფეროებში, მათ შორის ლიცენზიების გაცემა–შეწყვეტაზეც.
7. თუ გაჩნდა ფინანსური სექტორის არასტაბილურობის რისკი, გამოწვეული კერძო საფინანსო დაწესებულების არალიკვიდობით, სსზს უფლებამოსილია რეკომენდაცია გაუწიოს სებ–ს, რომ ამ უკანასკნელმა განახორციელოს ლიკვიდობის ინექცია აღნიშნულ საფინანსო დაწესებულებაში, რითაც აღმოიფხვრება არსებული არალიკვიდობა. ასეთი ტიპის ლიკვიდობის მიწოდების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს მთლიანად სებ–ის საბჭოს პრეროგატივას.
8. ეროვნული საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია სებ–ი და მას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში სსზს–ს სთხოვოს ინფორმაციის შეგროვება ცალკეული დაწესებულებებიდან საგადახდო, კლირინგის და ანგარიშსწორების ოპერაციების შესახებ.
9. სსზს–ი დაეხმარება სებ–ს ცალკეული დაწესებულებების მიერ მოწოდებული მონაცემების სიზუსტის დადგენაში ან სანქციების დაწესებაში, შეუსაბამო ან არასწორი მონაცემების მოწოდების შემთხვევაში.

საფინანსო სექტორის ერთობლივი კომიტეტი

10. ვაცნობიერებთ რა, სეზ-ისა და სსზს-ს აქტიური თანამშრომლობის არსებით მნიშვნელობას აღნიშნული დაწესებულებების მიზნების მისაღწევად, მხარეები შევთანხმდით დავაფუძნოთ საფინანსო სექტორის ერთობლივი კომიტეტი (სსეკ). აღნიშნული კომიტეტი წარმოადგენს ძირითად რგოლს საფინანსო სექტორთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისა და ანალიზისთვის, საფინანსო სექტორის შეფასებებისა კოორდინირებაში და წამოჭრილ პრობლემებსა და სიძნელეებზე შესაბამისი პოლიტიკის გატარებისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მისაღებად.
11. სსეკ-ი შედგება სეზ-ის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტისგან, სსზს-ის უფროსისა და უფროსის მოადგილისაგან და სსზს-ის ზედამხედველობის საბჭოს თავმჯდომარისგან. სსეკ-ის თანა-თავმჯდომარეები არიან სეზ-ის პრეზიდენტი და სსზს-ის უფროსი. კომიტეტის თავმჯდომარეები ნიშნავენ მდივანს, რომელიც განახორციელებს შეხვედრების ორგანიზებასა და საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას.
12. სსეკ-ი შეხვედრებს გამართავს სულ მცირე თვეში ერთხელ. თუმცა შეხვედრის ჩატარება შეიძლება მოთხოვილ იქნას კომიტეტის ნებისმიერი წევრის მიერ ნებისმიერ დროს. სსეკ-ს შეიძლება დაესწრონ მოწვეული (არაწევრი) პირები რომელიმე თანათავმჯდომარის ინიციატივის საფუძველზე. კომიტეტის შეხვედრების ოქმები ინახება კონფიდენციალურად.
13. სსეკ-ის შეხვედრაზე დასასწრებად საჭიროებისამებრ შესაძლოა მოწვეულ იქნან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები.
14. ურთიერთშორის ინფორმაციის გაცვლის გაძლიერებისთვის სეზ-ი სთხოვს სსზს-ის უფროსს წარმოადგინოს მისი მოადგილე სეზ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად.
15. სსეკ-ი აგრეთვე შეასრულებს კრიზისული სიტუაციების მართვის ძირითადი რგოლის ფუნქციას, საფინანსო სექტორში წამოჭრილ ყველა იმ საგანგებო მდგომარეობაზე, რომლებიც მოითხოვს სწრაფ და კოორდინირებულ რეაგირებას. ასეთ შემთხვევებში, სსეკ-ი სრულად ჩააყენებს საქმის კურსში შესაბამის სამთავრობო უწყებებს, მათ შორის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, და აცნობებს კოორდინირებულად გასატარებელი პოლიტიკის ღონისძიებების შესახებ.

ინფორმაციის შეგროვება და გაცვლა

16. ვაცნობიერებთ რა, საფინანსო სექტორის შესახებ ინფორმაციის სრული და დროული შეგროვების არსებითი მნიშვნელობას სეზ-ისა და სსზს-ის მოვალეობების შესრულებისათვის, მხარეები, სეზ-ი და სსზს-ი, ვთანხმდებით შევქმნათ საფინანსო სექტორის შესახებ მონაცემთა ერთობლივი ბაზა (დანართი 1). აღნიშნულ მონაცემთა ბაზასთან წვდომა იქნება ღია ორივე დაწესებულებისთვის, გარდა დანართ 2-ში მოხსენებული შემთხვევებისა.

17. სებ-ი პასუხისმგებელია მონეტარული და აგრეგირებული ფინანსური სექტორის მონაცემების შეგროვებასა, დამუშავებასა და გავრცელებაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისად. სსზს-ი პასუხისმგებელია საფინანსო სექტორის ცალკეული დაწესებულებების შესახებ მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებაზე. სსზს-ი ითანამშრომლობს სებ-თან ცალკეული დაწესებულებების მიერ მოწოდებული მონაცემების გადამოწმებასა და შეუსაბამო და არასწორად მოწოდებული ინფორმაციის შემთხვევაში სანქციების დაწესებაში.
18. სებ-ი და სსზს-ი თანხმდებიან ითანამშრომლონ ინფორმაციის გაცვლის კუთხით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინფორმაციის შეგროვებისთვის საჭირო ძალისხმევის დუბლირება და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი საფინანსო დაწესებულებებზე ანგარიშგების ტვირთი. ამ მიზნით, სებ-ი და სსზს-ი თანხმდებიან გამოიყენონ ერთობლივი პლატფორმა მონაცემთა შესაგროვებლად და განავითარონ მონაცემთა ურთიერთგაცვლის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის დეტალები წარმოდგენილია მემორანდუმის დანართში, რომელიც საბოლოო სახეს მიიღებს 2008 წლის ბოლოსთვის.
19. კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლისას, სებ-ი და სსზს-ი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე პირისთვის გადაცემა, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, უნდა განხორციელდეს სებ-ისა და სსზს-ს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.
20. სებ-ი და სსზს-ი თანხმდებიან განახორციელონ წინასწარი კონსულტაციები ერთმანეთთან იმ შემთხვევაში, როცა იგეგმება ან მომზადებულია პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლილებება, გარდა იმ შემთხვევებისა, რასაც კრძალავს კანონმდებლობა. აღნიშნული კონსულტაციები იმართება საფინანსო სექტორის ერთობლივი კომიტეტის შეხვედრებზე და სხვა სამუშაო ვითარებაში.

საფინანსო სექტორზე რისკების შეფასება

21. იმ შემთხვევაში თუ სებ-ი ან სსზს-ი მიიჩნევს, რომ რომელიმე მოვლენას შეუძლია საფრთხე შეუქმნას საფინანსო სექტორის სტაბილურობასა და ერთიანობას, თითოეული მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორეს ასეთი რისკების შესახებ. რეაგირება აღნიშნული რისკებზე დამოკიდებული იქნება სპეციფიურ გარემოებებზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სებ-ი და სსზს-ი მუდმივად აწვდიან ერთმანეთს მიმდინარე სიტუაციის ანალიზს და კონსულტაციებს მართავენ ერთმანეთთან შესაძლო ღონისძიებების გასატარებლად.

კომუნიკაცია და მოქმედების არეალი

22. რამდენადაც სებ-ისა და სსზს-ის მიერ ფინანსური დაწესებულებებისთვის მუდმივად მიმართულებებისა და გზავნილების გაკეთება უაღრესად მნიშვნელოვანია, სებ-ი და სსზს-ი ვალდებული არიან ფინანსური სექტორის დაწესებულებებთან ურთიერთობა

შემოფარგლონ მათი შესაბამისი პასუხისმგებლობების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, სსზს-ი პასუხისმგებელია საფინანსო სექტორთან მარეგულირებელ და ზედამხედველობის საკითხებში კომუნიკაციაზე, ხოლო სეზ-ი პასუხისმგებელია კომუნიკაციაზე მისი მანდატის ფარგლებში, მათ შორის მონეტარული პოლიტიკის, ნაღდი ფულისა მიმოქცევის, საგადახდო ოპერაციებისა და სტატისტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

23. თითოეულ ორგანიზაციას აქვს საკუთარი ვებგვერდი, მეორე მხარის ვებგვერდის შესაბამისი ბმულებით.

დოკუმენტაციის წარმოება

24. თითოეული დაწესებულება ვალდებულია აწარმოოს დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

საერთაშორისო წარმომადგენლობა

25. სეზ-ი და სსზს-ი მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს საერთაშორისო კონფერენციებსა და წარმომადგენლობებზე წარსადგენად, რომლებიც შეეხება ფინანსურ სექტორსა და ფინანსურ სტაბილურობას. წამყვანი წარმომადგენელი ასეთი შეხვედრების დროს განისაზღვრება შეკრებების ძირითადი თემატიკიდან და აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე განსაზღვრული პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე. კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია ერთობლივი წარმომადგენლობა.

საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის
სააგენტო

დ. ამაღლობელი

გ. ქადაგიძე

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი

უფროსი

დანართი 1
ფინანსურ და ეკონომიკურ მონაცემთა ბაზაზე პასუხისმგებლობა

ორგანიზაცია	პასუხისმგებელი შეგროვებაზე	პასუხისმგებელი გავრცელებაზე
მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა		
ცენტრალური ბანკის მიმოხილვა	სებ	სებ
სხვა სადეპოზიტო კორპორაციების მიმოხილვა	სებ/სსზს	სებ
სადეპოზიტო კორპორაციების მიმოხილვა	სებ/სსზს	სებ
ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები	სებ/სსზს	სებ
საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკა	სებ	სებ
გაცვლითი კურსების სტატისტიკა	სებ	სებ
ფინანსური ბაზრების სტატისტიკა	სებ	სებ
საგარეო სექტორის სტატისტიკა	სებ	სებ
საგადასახდელ ბალანსის სტატისტიკა	სებ	სებ
საგარეო ვალის სტატისტიკა	სებ	სებ
საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია	სებ	სებ
საერთაშორისო რეზერვები და უცხოური ვალუტის ლიკვიდობა	სებ	სებ
პრუდენციული ინფორმაცია	სსზს	სსზს
სებ-ის რეგულაციები	სებ	სებ
სსზს-ის რეგულაციები	სსზს	სსზს
ცალკეული ფინანსური ინსტიტუტების ბალანსები	სსზს	სსზს
ფინანსური ინსტიტუტებზე დაკისრებული ჯარიმები	სებ/სსზს	სსზს

დანართი 2
შეზღუდვები წვდომაზე
საფინანსო და ეკონომიკური მონაცემთა ბაზის განვითარება

1. საფინანსო და ეკონომიკური მონაცემთა ბაზის (სემბ) შექმნის მიზანია ხელი შეუწყოს მთლიანად ეკონომიკაში და კონკრეტულად საფინანსო სექტორში არსებული სიტუაციისა და ტენდენციების გაანალიზებას. აღნიშნულ ბაზაში დაცული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სეზ-ისა და სსზს-ის ყველა თანამშრომლისათვის მათი პროფესიული პასუხისმგებლობის ფარგლებში.
2. ზოგიერთი ინფორმაციის კონფიდენციალური ხასიათის გათვალისწინებით, აუცილებელია მათზე წვდომის შეზღუდვა. კერძოდ, შემდეგი ინფორმაცია კონფიდენციალურია იმ პირებისათვის, რომლებიც დასახელებულია სფზს-ის თავმჯდომარის მიერ:
 - ყველა მონაცემი რომელიც ეხება ცალკეული კომერციული ბანკისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტისადმი პრუდენციულ მოთხოვნებს;
 - ყველა ინფორმაცია რომელიც ეხება აქტივების პორტფელის ხარისხსა და უზრუნველყოფას;